



ევროკავშირი
საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries



გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს მდგრადი საჯარო შესყიდვების
სახელმძღვანელო დასუფთავების პროდუქტების,
ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობებისა და
სახარჯი მასალებისათვის

2021

შენიშვნა

საქართველოს მდგრადი საჯარო შესყიდვების სახელმძღვანელო დასუფთავების პროდუქტებისთვის, ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობებისა და სახარჯი მასალებისათვის შემუშავებულია ევროკავშირი გარემოსთვის (EU4Environment) პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და იმპლემენტირებულია OECD-ის, UNECE-ის, UNEP-ის, UNIDO-სა და მსოფლიო ბანკის მიერ. ეს სახელმძღვანელო მომზადებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა (UNEP-ის იმპლემენტაციის პარტნიორი საქართველოში) და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხარდაჭერით, UNEP-ის დახმარებით.

სახელმძღვანელო წარდგენილი და განხილულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის, საჯარო შესყიდვებში შესყიდვის პრიორიტეტული ობიექტებისათვის მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმების გამოყენების თაობაზე ონლაინ ტრენინგზე, რომელიც გაიმართა 2021 წლის 29 ივლისს. ეს სახელმძღვანელო მომზადებულ იქნა ქალბატონი ნატო ბერიძის მიერ — EU4Environment პროექტის ჯგუფის ეროვნული სამართლის ექსპერტი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. სახელმძღვანელო მომზადდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით. სახელმძღვანელოზე კომენტარები შემუშავებულ იქნა ბატონი ფარიდ იაკერისა და ქალბატონი ლესია ნიკოლაევის მიერ — გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამიდან და ბატონი ერიქს მეზალისის მიერ — EU4Environment-ის პროექტის ჯგუფის საერთაშორისო სამართლის ექსპერტი. წარმოდგენილი კომენტარები ასახულ იქნა დოკუმენტში.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის მოსაზრებებს და არ შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ევროკავშირის, ან მისი წევრების ან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობების ან იმპლემენტაციის პარტნიორების ოფიციალურ მოსაზრებებად.

ეს დოკუმენტი და დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი რუკა, წარმოდგენილია იმ რწმენით, რომ არ აზიანებს რომელიმე ტერიტორიის სტატუსს ან სუვერენიტეტს, საერთაშორისო საზღვრებისა და საზღვრების დელიმიტაციას და ნებისმიერი ტერიტორიის, ქალაქის ან ტერიტორიის სახელწოდებას.

ეს დოკუმენტი შემუშავებულ იქნა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. დასაშვებია ამ დოკუმენტის ტექსტის გამოყენება წყაროს მითითების პირობით. აღნიშნული დოკუმენტის გაყიდვა აკრძალულია.

გთხოვთ ამ პუბლიკაციის ციტირება მოახდინეთ შემდეგი სახით: EU4Environment (2021), საქართველოს მდგრადი საჯარო შესყიდვების სახელმძღვანელო დასუფთავების პროდუქტების, ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობებისა და სახარჯი მასალებისათვის

სარჩევი

1. შესავალი	5
2. ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები	6
3. საწმენდი საშუალებების საჯარო შესყიდვისას მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმები	8
3.1. გავრცელების არეალი	8
3.2. გარემოზე ზემოქმედება	10
3.3. მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმები საწმენდი საშუალებებისთვის	11
3.3.1. ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმები	11
3.3.2. ტექნიკური სპეციფიკაციები	12
3.3.3. შესაბამისობის შემოწმება ნიმუშის/მიწოდებული საქონლის კვლევის საშუალებით.....	13
3.3.4. საუკეთესო წინადადების გამოვლენის ეტაპი.....	14
3.3.5. ხელშეკრულების მენეჯმენტი.....	15
4. მდგრადობის კრიტერიუმები ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობებისა და სახარჯი მასალებისათვის	17
4.1. დეფინიცია და გავრცელების არეალი	17
4.2. ზემოქმედება გარემოსადმი	19
4.3. ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობებისა და სახარჯი მასალების მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმები	21
4.4. პრინტერებისა და პლოტერების მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმები	22
4.5. ტონერიანი და მელნის/საღებავის კარტრიჯების მდგრადობის კრიტერიუმები.....	25
5. დასკვნა	27
6. ბიბლიოგრაფია	29
7. სასარგებლო წყაროები.....	30

შემოკლებები

მდგრადი შესყიდვა	მდგრადი საჯარო შესყიდვა
ასოცირების შეთანხმება	ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება
ევროკავშირის მწვანე შესყიდვები	ევროკავშირის მწვანე საჯარო შესყიდვები
სააგენტო	სსიპ საჯარო შესყიდვების სააგენტო
კანონპროექტი	„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი
დადგენილების პროექტი	„საჯარო შესყიდვის განხორციელებისას მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი
CPV	შესყიდვების საერთო/მიღებული ლექსიკონი
მდგრადი განვითარების მიზნები	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები

1. შესავალი

მდგრადი შესყიდვების მიდგომა ემსახურება ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარების ხელშეწყობას, რომლის ფარგლებშიც გარემოსდაცვითი (კლიმატური, წყლის რესურსების, ენერგორესურსების და ა.შ) და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები გაითვალისწინება შესყიდვისას. საჯარო შესყიდვები შეადგენს საჯარო დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს. შესაბამისად, საჯარო შესყიდვებში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა უშუალო ზემოქმედებას მოახდენს სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებზეც, როგორებიცაა სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი ბაზრის განვითარება, რამდენადაც ბაზარი ვითარდება იმის შესაბამისად, თუ რას მოითხოვენ მომხმარებლები.¹

შესაბამისად, საჯარო შესყიდვების სისტემაში გარემოსდაცვითი ასპექტების ასახვა, სულ მცირე, ზეგავლენას იქონიებს გარემოს გაუმჯობესების მიზნის მიღწევის პროცესზე და ხელს შეუწყობს ამ პროცესის დაჩქარებას. მდგრად შესყიდვებს შეუძლია დაეხმაროს საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევასა და მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. საჯარო სექტორმა შესაძლოა წაახალისოს სამოქალაქო სექტორი გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიმართულებით და მისცეს მას გარემოსადმი მეგობრული პროდუქტისა თუ მომსახურების წარმოების განვითარების მოტივაცია.

საჯარო შესყიდვების სუბიექტებისთვის – შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის და ეკონომიკური ოპერატორებისთვის კანონმდებლობით, გარემოსდაცვითი და შრომითი უფლებების დაცვის სფეროში განსაზღვრული ამოცანების სისრულეში მოყვანის მიზნით, საჭიროა, რომ კანონმდებლობაში დეტალურად იქნეს მითითებული ასეთი ამოცანების განხორციელების ძირითადი მიმართულებები.²

საკმაოდ მნიშვნელოვანია ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, აღნიშნული სახელმძღვანელო შემუშავებულ იქნა როგორც შესყიდვის მდგრადად განხორციელების უფრო მოქნილი საშუალება.

¹ შდრ. „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების 231-ე მუხლის თანახმად: „მხარეები თანხმდებიან ხელი შეუწყონ საქონლით ვაჭრობას, რომელიც დაეხმარება სოციალური მდგომარეობისა და გარემოსდაცვითი კუთხით მიღებული გამოცდილების გაძლიერებას, მათ შორის იმ საქონლით, რომელიც არის ნებაყოფლობითი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის გეგმის ნაწილი, როგორც არის სამართლიანი და ეთიკური სავაჭრო სქემები და ეკო-ეტიკეტები.“

² შდრ. „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების 228-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „თითოეულმა მხარემ უნდა სცადოს იმის უზრუნველყოფა, რომ მისი კანონები და პოლიტიკა ითვალისწინებდეს და ხელს უწყობდეს გარემოსა და შრომითი ურთიერთობების დაცვის მაღალი დონის მიღწევას და შეეცადოს გააგრძელოს ამ კანონებისა და პოლიტიკის და მათი ძირითადი დაცვის დონის გაუმჯობესება.“

წინამდებარე სახელმძღვანელო ეყრდნობა ევროპული საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს, კერძოდ, სახელმძღვანელო შემუშავებულია ევროკავშირის მწვანე შესყიდვების კრიტერიუმებზე დაყრდნობით.³ სახელმძღვანელო შემუშავებულია იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცეს და წახალისოს შემსყიდველი ორგანიზაციები შეისყიდონ შერჩეული ობიექტები (საქონელი) მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ასპექტის — გარემოსდაცვითი კრიტერიუმების მხედველობაში მიღებით, კანონპროექტისა და დადგენილების პროექტის შესაბამისად.⁴

სახელმძღვანელოში მითითებულია რა რეკომენდებული მეთოდებისა და ტექნიკური სპეციფიკაციების გამოყენების შემდეგობითაა შესაძლებელი, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, კანონპროექტით გათვალისწინებული მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევა.

დოკუმენტში მოცემული დებულებები სარეკომენდაციო ხასიათისაა და ფორმულირებულია იმგვარად, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ, ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით (სრულად ან ნაწილობრივ) ხსენებული კრიტერიუმები, მისი საჭიროებების შეფასების შემდგომ გაითვალისწინოს კონკრეტულ შესყიდვის პირობებში/შესყიდვის დოკუმენტაციაში მინიმალური შესწორებებით.

2. ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები

მდგრადობის ასპექტით შესყიდვის ობიექტების (საქონლის) შესყიდვისას, ის კრიტერიუმები, რომლებსაც შესაძლოა დაეყრდნოს შემსყიდველი ორგანიზაცია, პირობითად, დაყოფილია ძირითად და დამატებით კრიტერიუმებად.⁵

- ძირითადი კრიტერიუმები — კრიტერიუმები, რომლებიც შემუშავებულია მწვანე საჯარო შესყიდვების მარტივი იმპლემენტაციისთვის, რაც თავის მხრივ, არ არის დაკავშირებული დიდ ადმინისტრაციულ (ადამიანურ და დროის) რესურსთან, იმპლემენტაციის თვალსაზრისით. აღნიშნულ კრიტერიუმებში ყურადღება მახვილდება შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების ძირითად, საკვანძო, სფერო(ებ)ზე და კრიტერიუმები მიზნად ისახავს ეკონომიკურ ოპერატორთათვის ადმინისტრაციული ხარჯების მინიმუმამდე შემცირებას;

³ ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/eu_gpp_criteria_en.htm [06.05.2021].

⁴ „საჯარო შესყიდვის განხორციელებისას მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

⁵ ამ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ:

EU GPP criteria for indoor cleaning services, გვ.2, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/toolkit/cleaning_product/en.pdf [06.05.2021];

EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, გვ.3, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment_2020.pdf [06.05.2021].

- დამატებითი კრიტერიუმები — კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებს დამატებით ასპექტებსა და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების უფრო მაღალხარისხობრივ მახასიათებლებს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გარემოსდაცვითი და ინოვაციური მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული კრიტერიუმები, პრაქტიკაში, შესაძლოა, იმპლემენტირებულ იქნეს საჯარო შესყიდვის პროცედურის სხვადასხვა ეტაპზე. ეს კრიტერიუმები, შესაძლოა, მითითებულ იქნეს როგორც ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმებში, ასევე შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციებში, საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებსა და საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების დებულებებშიც. აღნიშნული გარემოება, შემსყიდველ ორგანიზაციას აძლევს დისკრეციას, თავად გადაწყვიტოს, კონკრეტული შესყიდვის ობიექტის თავისებურებების გათვალისწინებით, რომელ ეტაპზე და რა კონკრეტული კრიტერიუმი გაითვალისწინოს მდგრადი საჯარო შესყიდვის განხორციელებისას.

ამასთან, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას განზრახული აქვს ამ დოკუმენტში მითითებული კრიტერიუმების გამოყენება ფოტოასლების გადასადები მოწყობილობების, სახარჯი მასალებისა და დასუფთავების პროდუქტების შესყიდვისას, მან აღნიშნული უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო შესყიდვების ისეთ პრინციპებთან თანხვედრა, როგორებიცაა ღიაობა და გამჭვირვალობა, ასევე არადისკრიმინაციულობა და თანასწორი მოპყრობა, პროპორციულობა და ა.შ.⁶ აღნიშნული, სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს, რომ შერჩევის კრიტერიუმები, ტექნიკური სპეციფიკაციები, საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები ან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დებულებები არ უნდა იქნეს იმგვარად შერჩეული ან გამოყენებული, რომ იწვევდეს ეკონომიკური ოპერატორების პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას.⁷

⁶ იხ. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-2 მუხლი.

⁷ ამ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ Buying green!, A handbook on green public procurement 3rd Edition, European Union, 2016, ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/Buying-Green-Handbook-3rd-Edition.pdf> [06.05.2021].

3. საწმენდი საშუალებების საჯარო შესყიდვისას მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმები

მდგრადი განვითარება არის ქვეყნის პოლიტიკის, მათ შორის, საჯარო შესყიდვების სისტემის სფერო. შესაბამისად, მდგრადი შესყიდვები შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რამდენადაც მდგრადი შესყიდვების ძირითად მიზანთაგან ერთ-ერთია გარემოზე ზემოქმედების შემცირება.

სისუფთავის დაცვა და ჰიგიენური საშუალებების მუდმივი გამოყენება, ემსახურება ჯანსაღ გარემოში სიცოცხლის უფლებას, თუმცა ასეთმა ღონისძიებებმა, თავისი მხრივ, შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე.

გარემოსადმი მეგობრული საწმენდი საშუალებების საჯარო შესყიდვის დანერგვა ემსახურება ზემოხსენებული საკითხების კომპლექსურად გადაჭრის მიზანს და გულისხმობს, როგორც ამ მიმართულებით ბაზრის განვითარების ხელშეწყობას, ასევე, საჯარო უწყებების ცოდნისა და თვითშეგნების ამაღლებას.

3.3. ქვეთავში მოცემულია საწმენდი საშუალებების შესყიდვისას მდგრადობის კრიტერიუმების გამოყენების საშუალებები და მითითებულია მდგრადობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაძლებლობის შესახებ, კონკრეტულად საჯარო შესყიდვების პროცედურების განხორციელებისას.⁸

3.1. გავრცელების არეალი

წინამდებარე თავში განხილული რეკომენდაციები ვრცელდება შესყიდვის ობიექტებზე, რომლებიც მდგრადი შესყიდვების შესახებ UNEP-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად შერჩეულ იქნა როგორც პრიორიტეტული პროდუქტი (საქონელი). ეს შესყიდვის ობიექტებია:

- საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია (CPV 39800000);
- სურნელოვანი ნივთიერებები და ცვლილები (CPV 39810000):
 - ა) სურნელოვანი ნივთიერებები და ცვლილები (CPV 39810000);
 - ბ) ოთახში სასიამოვნო სურნელის დასაყენებელი საშუალებები (CPV 39811000);
 - გ) ჰაერის გამწმენდი (CPV 39811100);
 - დ) ჰაერის დეზინფექტორები (CPV 39811200);

⁸ უნდა აღინიშნოს, რომ თუ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს, არა ცალკეული საწმენდი საშუალებები, არამედ დასუფთავების მომსახურება, ასეთ შემთხვევაშიც, მომსახურების შესყიდვისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა გაითვალისწინოს გამარჯვებული ეკონომიკური ოპერატორის მიერ გამოსაყენებელ საშუალებებთან მიმართებით მდგრადი საჯარო შესყიდვის პრინციპები.

- ე) დეოდორანტები (CPV 39811300);
 - ვ) საპრიალებლები და კრემები (CPV 39812000);
 - ზ) იატაკის საპრიალებლები (CPV 39812100);
 - თ) ფეხსაცმლის (საპრიალებელი) საცხები (CPV 39812200);
 - ი) საპრიალებელი ცვილები (CPV 39812300);
 - კ) საგველი ნარევები (CPV 39812400);
 - კ) დასაგმანი საშუალებები (CPV 39812500);
 - ლ) სახეხი პასტები და ფხვნილები (CPV 39813000).
- ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები (CPV 39820000):
- ა) ნიშადურის შემცველი საწმენდი საშუალებები (CPV 39821000);
 - ბ) კაუსტიკური სოდის შემცველი საწმენდი საშუალებები (CPV 39822000).
- საწმენდი საშუალებები (CPV 39830000):
- ა) სარეცხი საშუალებები (CPV 39831000);
 - ბ) გამხსნელები (CPV 39831100);
 - გ) ფხვნილები (CPV 39831200);
 - დ) ჭურჭლის სარეცხი მანქანის ფხვნილები (CPV 39831210);
 - ე) ცხიმის მოსაშორებელი ნივთიერებები (CPV 39831220);
 - ვ) ცხიმის დამშლელი (CPV 39831230);
 - ზ) საწმენდი ნაერთები (CPV 39831240);
 - თ) სარეცხი/სავლები ხსნარები (CPV 39831250);
 - ი) იატაკის საწმენდები (CPV 39831300);
 - კ) ეკრანის საწმენდები (CPV 39831400);
 - ლ) თვითმოდრავი საწმენდები (CPV 39831500);
 - მ) ტუალეტის საწმენდები (CPV 39831600);
 - ნ) საპნის ავტომატური დისპენსერები/დოზატორები (CPV 39831700);
 - ო) ჭურჭლის სარეცხი საშუალებები (CPV 39832000);
 - პ) ჭურჭლის სარეცხი ფხვნილი (CPV 39832100);
 - ჟ) მტვრისგან დამცავი საშუალებები (CPV 39833000);
 - რ) ძვირფასეულობის საწმენდი ხსნარები (CPV 39834000).

3.2. გარემოზე ზემოქმედება

მდგრადობის მოთხოვნებით საწმენდი საშუალებების შესყიდვისას, უნდა განისაზღვროს საწმენდი საშუალებების გავლენა მდგრადი განვითარების ზემოქმედების მომხდენ სხვადასხვა ასპექტებზე. წინამდებარე N1 ცხრილში მოცემულია საწმენდი საშუალებების ზემოქმედება მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად – გარემოსდაცვით ასპექტზე.⁹

ცხრილი N1 - საწმენდი საშუალებების ზემოქმედება გარემოსდაცვით ასპექტზე

გარემოზე ზემოქმედების მომხდენი ძირითადი ფაქტორები პროდუქტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში	გადაწყვეტის გზები
<ul style="list-style-type: none"> ➤ საწმენდი საშუალების შემადგენლობა; ➤ ერთჯერადი, გადაუმუშავებელი საშუალებების გამოყენება; ➤ გამოყენებისას წყლისა და ელექტროენერჯის მოხმარება; ➤ ნარჩენების წარმოქმნა. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ეკონომიკურ ოპერატორს მოეთხოვოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი დებულებების ცოდნა და გამოყენება; ➤ ეკონომიკურ ოპერატორს მოეთხოვოს თანამშრომლების მუდმივი ტრენინგები; ➤ ეკონომიკურ ოპერატორს მოეთხოვოს გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მქონე შემადგენლობის საწმენდი საშუალებების მიწოდება; ➤ ეკონომიკურ ოპერატორს მოეთხოვოს ენერგოეფექტური საწმენდი მოწყობილობების გამოყენება დასუფთავების მომსახურების გაწევისას.¹⁰

⁹ EU GPP criteria for indoor cleaning services, გვ.6, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/toolkit/cleaning_product/en.pdf. [06.05.2021].

¹⁰ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული შესყიდვის ობიექტი არ შედის მოცემული თავით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტების ნუსხაში (კერძოდ კი, არ ერთიანდება საწმენდი პროდუქტების ქვეშ), მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მისი მითითება მოცემული ცხრილის გადაწყვეტის გზების დანაყოფში.

3.3. მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმები საწმენდი საშუალებებისთვის

საწმენდი საშუალებების მდგრადი შესყიდვისას, ზემოხსენებული ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჯარო შესყიდვის პროცედურის სხვადასხვა ეტაპზე.

შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ამგვარი კრიტერიუმები განსაზღვროს:

- ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმებში¹¹;
- შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ სპეციფიკაციებში;¹²
- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებში;¹³
- საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების პირობებში.

3.3.1. ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმები

ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმები ძირითადად კონცენტრირებულია ეკონომიკური ოპერატორის შესაძლებლობაზე, შეასრულოს საჯარო შესყიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნულის შეფასებისას, კანონპროექტით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლოა მხედველობაში მიიღონ, ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული გარემოსდაცვით ასპექტებთან დაკავშირებით კონკრეტული გამოცდილება და კვალიფიკაცია. შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლოა მოითხოვონ ეკონომიკური ოპერატორების მხრიდან საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულებისას გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე უფლებამოსილია, მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად, მოსთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორს სოციალური, გარემოსდაცვითი და შრომითსამართლებრივი ნორმების დაცვა.¹⁴

ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმებში გარემოსდაცვითი ელემენტების შემოღება შესაძლებელია, შესყიდვის პირობებში ეკონომიკური ოპერატორის ტექნიკური და პროფესიული შესაძლებლობების თაობაზე დებულებების განსაზღვრით.

¹¹ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 49-ე მუხლის შესაბამისად.

¹² „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 48-ე მუხლის შესაბამისად.

¹³ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 50-ე მუხლის შესაბამისად.

¹⁴ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რომ ტექნიკურ და პროფესიულ შესაბამისობასთან დაკავშირებით, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია განსაზღვროს მოთხოვნები ეკონომიკური ოპერატორის მიერ საკმარისი ადამიანური და ტექნიკური რესურსის, აგრეთვე, გამოცდილების ქონის შესახებ.

3.3.2. ტექნიკური სპეციფიკაციები

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რომ ტექნიკური სპეციფიკაციები შეიცავს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, საწმენდი საშუალებების შესყიდვისას, ტექნიკურ სპეციფიკაციებში მიუთითოს მოთხოვნები რაოდენობის, შეფუთვის, შემცველობის, მიწოდების პირობებისა და სხვა ასპექტების შესახებ, რასაც ის მიიჩნევს მნიშვნელოვანად. უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შეიმუშავოს მოთხოვნები პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თითოეული სტადიისათვის, პრაქტიკული თვალსაზრისით აღნიშნული გულისხმობს, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, შესყიდვის დოკუმენტაციაში აღწეროს არამხოლოდ საქონლის მახასიათებლები, არამედ შეიმუშავოს მოთხოვნები საქონლის წარმოებასთან, ვაჭრობასთან და გადამუშავებასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული შესაძლებლობა გამომდინარეობს ევროკავშირის საჯარო შესყიდვების დირექტივიდან.¹⁵

საწმენდი საშუალებების ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები დაეყრდნონ ევროკავშირის შესაბამის კრიტერიუმებს.¹⁶ თავისი მხრივ, ეკონომიკურ ოპერატორებს უნდა მიეცეთ საწმენდი საშუალებების მითითებულ ეკოეტიკეტთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა.

წინამდებარე N2 ცხრილში მოცემულია შესაბამისი მოთხოვნები იმისდა მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაციები შესაბამისი საქონლის აღწერისათვის გამოიყენებენ ევროკავშირის ძირითად თუ დამატებით კრიტერიუმებს.¹⁷

¹⁵ 2014 წლის 26 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014/24/EU დირექტივა „საჯარო შესყიდვებისა და 2004/18/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“.

¹⁶ EU GPP criteria for indoor cleaning services, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/toolkit/cleaning_product/en.pdf, [06.05.2021].

¹⁷ EU GPP criteria for indoor cleaning services, გვ.8, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/toolkit/cleaning_product/en.pdf, [06.05.2021].

ცხრილი N2 - ტექნიკური სპეციფიკაციები

ტექნიკური სპეციფიკაციები	
ძირითადი კრიტერიუმები	დამატებითი კრიტერიუმები
<p>➤ გამოყენებულ იქნეს ეკო-ეტიკეტირება მხოლოდ გარკვეული საშუალებებისთვის.</p> <p>მაგალითად, რიგი მისაწოდებელი (გამოსაყენებელი) საწმენდი საშუალებებისა (შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვის პირობებში უნდა მიუთითოს ასეთი საშუალებების ზუსტი და ამომწურავი ჩამონათვალი) უნდა შეესაბამებოდეს მყარი ზედაპირის საწმენდი საშუალებების ევროკავშირის შესაბამის კრიტერიუმებს.</p>	<p>➤ გამოყენებულ იქნეს ეკო-ეტიკეტირება ყველა საშუალებისთვის.</p> <p>ასეთ შემთხვევაში, შესყიდვის პირობებში მიეთითება, რომ მისაწოდებელი (გამოსაყენებელი) ყველა საწმენდი საშუალება უნდა შეესაბამებოდეს მყარი ზედაპირის საწმენდი საშუალებების ევროკავშირის შესაბამის კრიტერიუმებს.</p>

3.3.3. შესაბამისობის შემოწმება ნიმუშის/მიწოდებული საქონლის კვლევის საშუალებით

კანონპროექტის 48-ე მუხლის მე-14 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, წინადადების სპეციფიკაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს აღწერა, მწარმოებლის მიერ გაცემული დოკუმენტი, ფოტოსურათი ან ნიმუში, რომელთა ავთენტურობაც საჭიროებს დადასტურებას, თუ ეს მოთხოვნილია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

კანონპროექტის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გააკონტროლოს საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულება.

ის თუ მისაწოდებელი საქონლის შესყიდვის პირობებთან შესაბამისობის რომელ გზას აირჩევს შემსყიდველი ორგანიზაცია, სრულად დამოკიდებულია მასზე. ნიმუშის მოთხოვნასთან დაკავშირებით, უპირველესად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა ეტაპზე ესაჭიროება მისაწოდებელი საქონლის მის მიერ შესყიდვის პირობებით განსაზღვრულ მდგრადობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმება.

შესაბამისობის დადგენის რამდენიმე მეთოდი არსებობს:

- შერჩევა-შეფასების ეტაპზე დადგინდეს, შეესაბამება თუ არა ყველაზე მომგებიანი წინადადების მქონე ეკონომიკური ოპერატორის მიერ მისაწოდებელი საქონელი შესყიდვის პირობებით განსაზღვრულ მდგრადობის კრიტერიუმებს;¹⁸
- შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების ზედამხედველობის ეტაპზე, დადგინდეს შეესაბამება თუ არა მიწოდებული საქონელი შესყიდვის პირობებით დადგენილ მდგრადობის მოთხოვნებს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი არ გამორიცხავს ზემოხსენებული მეთოდების კუმულატიურად გამოყენების შესაძლებლობას, მეტიც, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია, თავისი რესურსებიდან (მათ შორის, ადამიანური რესურსი, კვალიფიკაცია, ფინანსური შესაძლებლობები), შეძლებს ორივე მეთოდის ერთდროულად გამოყენებას ერთსა და იმავე საჯარო შესყიდვის განხორციელებისას, ის კიდევ უფრო მეტად გაზრდის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.

3.3.4. საუკეთესო წინადადების გამოვლენის ეტაპი

კანონპროექტის თანახმად, საუკეთესო წინადადების გამოვლენის ორი კრიტერიუმი არსებობს: დაბალი ფასი ან ღირებულება და საუკეთესო ფასისა და ხარისხის თანაფარდობა.

თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეარჩია საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმად ყველაზე დაბალი ფასი ან ღირებულება, შესაბამისად, ამ ეტაპზე მხოლოდ შეთავაზების ფინანსური ასპექტი განიხილება და ფასდება, იმისათვის რომ განისაზღვროს ის ეკონომიკური ოპერატორი, რომელსაც უნდა მიენიჭოს ხელშეკრულების დადების უფლება.

თავად პროდუქტის მახასიათებლები (როგორებიცაა შეფუთვა, ქიმიური შემცველობა) შესაძლებელია არ იქნეს შესწავლილი. თუმცა, აღნიშნული საკითხები უკვე შემოწმებული იქნება წინადადების ტექნიკურ სპეციფიკაციებთან შესაბამისობის შემოწმების სტადიაზე. სხვა სიტყვები რომ ვთქვათ, საუკეთესო ფასის ან ღირებულების კრიტერიუმის საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმად განსაზღვრისას შემსყიდველ ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ პროდუქტთან დაკავშირებული, შემდგომში შესაბამისობის თვალსაზრისით შესამოწმებელი ყველა მახასიათებელი მტკიცედ უნდა იქნეს დანერგილი ტექნიკურ სპეციფიკაციებში და რომ ხარისხთან დაკავშირებული კრიტერიუმები შესყიდვის პროცედურის შემდგომ ეტაპზე აღარ იქნება შეფასებული.

საბოლოოდ, ასეთი მიდგომა ძალზედ ეფექტურია უკვე მზა საქონლის შესყიდვისას, როდესაც შესყიდვის საგნის ყველა მახასიათებელი ნათელია, კონკურენცია ძირითადად ხარჯების ფაქტორზეა კონცენტრირებული და არ არის საჭირო ფასისა და ხარისხის აწონ-დაწონვა (ფასის დაწვევა ხარისხის საწინააღმდეგოდ).

¹⁸ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ეკონომიკურ ოპერატორს მინიჭებული აქვს შიდა დასუფთავების მომსახურებისთვის EN ISO 14024 ტიპი I-ის ეკო-ეტეტიკეტი, რომელიც ასევე აღიარებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ასევე რეგიონულ ან შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, მაშინ, ჩაითვლება, რომ ეკონომიკური ოპერატორი სწორედ ამ გზით აკმაყოფილებს შესყიდვის პირობებით დადგენილ მოთხოვნებს.

თუმცა, თუკი შემსყიდველმა ორგანიზაციამ საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმად აირჩია საუკეთესო ფასისა და ხარისხის თანაფარდობა, იგი უფლებამოსილია, ფასთან ან ღირებულებასთან ერთად ასევე შეაფასოს შეთავაზების გაზრდილი ხარისხი.

ამ შემთხვევაში რამდენიმე საკითხი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული:

- ყველა ის ასპექტი, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია გაითვალისწინებს შესაბამისი ქულის მინიჭებისას, წინასწარ უნდა იქნეს გათვალისწინებული შესყიდვის დოკუმენტაციაში;
- თითოეული ქვე-კრიტერიუმის შეფარდებითი/ხვედრითი წონა უნდა იქნეს გათვალისწინებული;
- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები ზედმიწევნით არ უნდა იმეორებდეს ტექნიკურ სპეციფიკაციებს. საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები უნდა აღწერდეს დამატებითი ქულების მინიჭებასთან დაკავშირებულ დებულებებს, როდესაც შეთავაზებაში არსებული მოთხოვნები აღემატება ტექნიკური სპეციფიკაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გარდა ამისა, შესყიდვის პროცედურის ამ ეტაპზე არ უნდა განხორციელდეს შესყიდვის პროცედურაში მონაწილე კანდიდატების გამორიცხვა. ამის ნაცვლად, ყველა წინადადება უნდა იყოს შეფასებული/რანჟირებული მიღებული ქულების მიხედვით.

საბოლოო ჯამში, საუკეთესო ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის კრიტერიუმი შემსყიდველ ორგანიზაციას აძლევს შესაძლებლობას, აწონ-დაწონოს ერთი მხრივ, ფასი ან ღირებულება, ხოლო მეორე მხრივ გაზრდილი ხარისხობრივი მაჩვენებლები და განსაზღვროს თუ რომელი შეთავაზება (ანუ რომელი კომბინაცია) არის ყველაზე ხარჯთეფექტური. მაგალითად, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია გადაწყვეტს ქულების კონკრეტული რაოდენობის მინიჭებას იმ შეთავაზებისათვის, რომლითაც შეთავაზებულია სარეცხი საშუალებები მცირე შეფუთვით, იგი აღნიშნულ მახასიათებლებს აუცილებლად შეაფასებს მის შესაბამისად შეთავაზებული ფასის საპირისპიროდ და გადაწყვეტს აღნიშნული არის თუ არა საუკეთესო არჩევანი ან პირიქით სხვა შეთავაზებები უფრო ხარჯთეფექტური არის თუ არა.

3.3.5. ხელშეკრულების მენეჯმენტი

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების ზედამხედველობა. აღნიშნული ვალდებულება, სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს მდგრადი შესყიდვების იმპლემენტაციისას განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებასაც და თავისი მხრივ, ხსენებული ვალდებულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მდგრადობის კრიტერიუმებით საჯარო შესყიდვის პროცედურების განხორციელებაში.

ხელშეკრულების მენეჯმენტის პროცესში ეკონომიკურ ოპერატორს შესაძლოა მოეთხოვოს პერიოდულად ინფორმაციის მიწოდება, მიწოდებული საქონლის კონკრეტული ნაწილის მოთხოვნილ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. გარდა ამისა, საჯარო შესყიდვის ხელშეკრულება შესაძლოა ადგენდეს ეკონომიკური ოპერატორის ვალდებულებას, ეტაპობრივად წარადგინოს შესყიდვის პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია (მაგალითად სერტიფიკატი), იმისათვის, რომ დადგინდეს მიწოდებული საქონლის კონკრეტული ნაწილის შესაბამისობა მოთხოვნილ სტანდარტებთან.

ეკონომიკურ ოპერატორს, შესაძლოა, მოეთხოვოს დასაქმებული პერსონალისთვის (თუკი შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს დასუფთავების მომსახურება) ტრენინგების მუდმივად ჩატარების უზრუნველყოფა, შემდეგი საკითხების თაობაზე:¹⁹

- როგორ უნდა განხორციელდეს თითოეული დასუფთავების აქტივობისთვის საწმენდი საშუალებების სწორი დოზირება (მათ შორის, განზავების შემთხვევაში);
- როგორ უნდა იქნეს საწმენდი საშუალებები სათანადოდ დასაწყობებული;
- გამოსაყენებელი საწმენდი საშუალებების ფართო ასორტიმენტის შემცირება, რათა შემცირდეს ამ საშუალებებით მოწამვლის რისკები;
- თუ როგორ უნდა განხორციელდეს საშუალების განზავება გაუცხელებელ წყალში, თუ საწმენდი საშუალების მწარმოებლის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი;
- როგორ უნდა განხორციელდეს უზრუნველყოფილი შესაბამისი ტემპერატურა დასუფთავების პროდუქტებისათვის;
- როგორ უნდა იქნეს გამოყენებული გამძლე და მრავალჯერადი დასუფთავების აქსესუარები (მაგალითად, ხელთათმანები), ნარჩენების მოცულობის შესამცირებლად;
- როგორ უნდა განხორციელდეს ნებისმიერი წარმოებული ნარჩენის სწორად განლაგება.

ამდენად, ეკონომიკური ოპერატორის მხრიდან ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების დადასტურებისათვის, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს მისი ქმედებების მონიტორინგი და კონტროლი. მაგალითად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს ეკონომიკური ოპერატორის მიერ განხორციელებული აქტივობების ინსპექტირება. თუმცა, თუ შემსყიდველ ორგანიზაციას სურს ამ უფლებებით სარგებლობა, მან შესყიდვის პირობებში ინსპექტირების წესი იმგვარად უნდა განსაზღვროს, რომ არ შეიზღუდოს თავისუფალი მეწარმეობის პრინციპი და არ განხორციელდეს საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა.²⁰

¹⁹ EU GPP criteria for indoor cleaning services, გვ.23, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/toolkit/cleaning_product/en.pdf. [06.05.2021].

²⁰ სასურველია, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ, შემოწმების მექანიზმების შესახებ მითითება წინასწარვე გააკეთოს საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების პროექტში (რომელიც თავის მხრივ იქნება შესყიდვის პირობების შემადგენელი ნაწილი) და ეკონომიკური ოპერატორები თავიდანვე იქნებიან ინფორმირებულნი მოსალოდნელი პროცესების თაობაზე.

4. მდგრადობის კრიტერიუმები ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობებისა და სახარჯი მასალებისათვის

წინამდებარე თავი შემუშავებულია ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობების, სახარჯი მასალებისა და ბეჭდვითი სერვისების სფეროში, ევროკავშირის მწვანე შესყიდვების კრიტერიუმების შესაბამისად²¹. აღნიშნული კრიტერიუმები ემსახურება შემსყიდველ ორგანიზაციას მიერ შესყიდვის ობიექტების, კონკრეტულად კი გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მქონე პრინტერებისა და პლოტერების, აგრეთვე, ტონერიანი და მელნის/საღებავის კარტრიჯების მდგრადობის კრიტერიუმებით შესყიდვის გამარტივებას.

შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, პრინტერებისა და პლოტერების, აგრეთვე, ტონერიანი და მელნის/საღებავის კარტრიჯების შესყიდვისას, წინადადებების წარსადგენად/დიალოგში/მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევის გამოქვეყნებამდე, გადაამოწმონ მათ მიერ შესყიდვის პრობებში განსაზღვრული სპეციფიკური დეტალების მქონე ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობებისა თუ სახარჯი მასალების ხელმისაწვდომობა ბაზარზე.

4.1. დეფინიცია და გავრცელების არეალი

შესყიდვის ობიექტთა ჯგუფი — „ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობები და სახარჯი მასალები“, მოიცავს პრინტერებსა და პლოტერებს, ტონერიანი და მელნის/საღებავის კარტრიჯებს. აღნიშნული პროდუქტთა ჯგუფი ზოგადად მოიაზრებს:

- ვიზუალიზაციის მოწყობილობებს, როგორებიცაა პრინტერები, რომლებიც გამიზნულია საოფისე და ადგილობრივი გამოყენებისთვის და რომელთა ფუნქციაა ფოტოგამოსახულების ან ქაღალდის ქსეროასლის ბეჭდვა ან/და ციფრული სურათის ბეჭდვა, სკანირების ან/და კოპირების საშუალებით;²²
- სახარჯ მასალებს, როგორებიცაა ვიზუალიზაციის მოწყობილობის პროდუქტის ფუნქციონირებისთვის აუციელებელი ე.წ შესაცვლელი მასალები, რომლებიც ექვემდებარება შეცვლას ან/და შევსებას, საბოლოო მომხმარებლის ან მომსახურების მიმწოდებლის მიერ ვიზუალიზაციის მოწყობილობის ნორმალური გამოყენებისას.

²¹ EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, ხელმისაწვდომია:

https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment_2020.pdf, [06.05.2021წ].

²² EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, გვ.4-5, ხელმისაწვდომია:

https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment_2020.pdf, [06.05.2021წ].

წინამდებარე თავში მიმოხილული სახარჯი მასალები მოიცავს კონტეინერებს, რომელიც ინახავს ტონერს ან მელანს, რომელიც თავის მხრივ, საბოლოოდ აისახება გამოსახულებაში. ამასთან, კონტეინერები არ შეიცავს ინტეგრირებულ კომპონენტებს ან მოძრავ ნაწილებს, აგრეთვე, გამოსახულების პროდუქტის ფუნქციის განუყოფელ ან/და შემადგენელ ნაწილს.²³

აღნიშნულ შესყიდვის ობიექტთა ჯგუფიდან გამორიცხულია:²⁴

- ა) ციფრული დუბლიკატები;
- ბ) საფოსტო მოწყობილობები;
- გ) ფაქსიმილეს (ფაქსის) აპარატები.

წინამდებარე თავში განხილული სარეკომენდაციო მითითებები ვრცელდება შემდეგ შესყიდვის ობიექტთა ნუსხაზე:

➤ პრინტერები და პლოტერები (CPV 30232100):

- ა) ლაზერული პრინტერები (CPV 30232110);
- ბ) მატრიცული პრინტერები (CPV 30232120);
- გ) ფერადი პრინტერები (CPV 30232130);
- დ) პლოტერები (CPV 30232140);
- ე) ჭავლური პრინტერები (CPV 30232150).

➤ ტონერიანი კარტრიჯები (CPV 30125100)

- ა) ტონერი ლაზერული პრინტერებისთვის/ფაქსის აპარატებისთვის (CPV30125110);
- ბ) ტონერები ფოტოასლების გადამღები აპარატებისთვის (CPV 30125120).

➤ მელნის/სადებავის კარტრიჯები (CPV 30192113)

²³ EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, გვ.4-5, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment_2020.pdf, [06.05.2021წ].

²⁴ EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, გვ.4-5, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment_2020.pdf, [06.05.2021წ].

4.2. ზემოქმედება გარემოსადმი

ხელმისაწვდომ სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პრინტერებისა და პლოტერების, აგრეთვე, ტონერიანი და მელნის/საღებავის კარტრიჯების ზემოქმედება, მათი მთლიანი სასიცოცხლო ციკლის პერსპექტივიდან, შეჯამებულია წინამდებარე N3 ცხრილში²⁵. N3 ცხრილში ასევე მოცემულია ევროკავშირის მწვანე საჯარო შესყიდვების მიდგომა, იმისათვის, რომ შემცირებულ ან შემსუბუქებულ იქნეს ამგვარი ზემოქმედება გარემოზე.²⁶

ცხრილი N3 - ევროკავშირის მწვანე საჯარო შესყიდვების მიდგომა, იმისათვის, რომ შემცირებულ ან შემსუბუქებულ იქნეს ამგვარი ზემოქმედება გარემოზე

ძირითადი გარემოსდაცვითი ასპექტები	მწვანე საჯარო შესყიდვების მიდგომა
<ul style="list-style-type: none"> ➤ პრინტერების, სკანერებისა და მულტიფუნქციური მოწყობილობების მიერ ელექტროენერჯის მოხმარება; ➤ სახარჯი მასალების გამოყენება, კერძოდ, ქაღალდისა და კარტრიჯების გამოყენება პრინტერებისა და მულტიფუნქციური მოწყობილობების ფუნქციონირებისათვის; ➤ პრინტერების, სკანერებისა და მულტიფუნქციური მოწყობილობების წარმოება, უფრო მეტად ენერგოეფექტური საქონლის შესაქმნელად (მაგალითად, როგორცაა ლაზერის ტექნოლოგიის გამოყენება); ➤ ამგვარი მოწყობილობების ნარჩენების არასათანადო განლაგებასთან ან/და განკარგვასთან დაკავშირებული პოტენციური რისკები; ➤ საშიში ნივთიერებების შემცველობა; ➤ მოწყობილობის გამოყენებისას წარმოქმნილი გაფრქვევები; ➤ ქაღალდის ის ოდენობა, რაც დაკავშირებულია კარტრიჯებთან 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ენერგოეფექტური პრინტერების, სკანერებისა და მულტიფუნქციური მოწყობილობების შესყიდვა; ➤ მოწყობილობების შესყიდვა იმ ეკონომიკური ოპერატორებისაგან, რომლებიც ახორციელებენ საშიშ ნივთიერებათა შეზღუდული შემცველობების კონტროლს; ➤ იმგვარი საქონლის შესყიდვა, რომელსაც აქვს საშიშ ნივთიერებათა დაბალი შემცველობა ან/და მცირე გაფრქვევის მაჩვენებელი და ამდენად, მათი ზემოქმედება გარემოზე მინიმალურია; ➤ იმგვარი მოწყობილობების შესყიდვა, რომელიც აწყობილია იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მისი ძირითადი ნაწილების აღდგენა/შეკეთება; ➤ სასიცოცხლო ციკლის დანახარჯის ფარგლებში, თითოეული მოწყობილობის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად, მის საბოლოო

²⁵ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment_2020.pdf [06.05.2021წ].

²⁶ EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, გვ.8, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment_2020.pdf [06.05.2021წ].

<p>ურთიერთზემოქმედებით სასურველი ოდენობის ამობეჭდილი მასალის მისაღებად;</p> <p>➤ ნებისმიერი წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ხარჯები.</p>		<p>განადგურება/გადამუშავებასთან დაკავშირებული პრაქტიკის შემოღება, რაც პოზიტიურად იმოქმედებს გარემოზე, რესურსების აღდგენადობის თვალსაზრისით;</p> <p>➤ იმგვარი მოწყობილობის შესყიდვა, რომელიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციონირებისას გადამუშავებული ქაღალდისა და კარტრიჯის გამოყენებას;</p> <p>➤ ინფორმაციის მოთხოვნა გარემოსადმი მეგობრული შესრულების თაობაზე;</p> <p>➤ მოწყობილობის მწარმოებლის შესახებ ინფორმაციისა და მოწყობილობის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატ(ებ)ის მოთხოვნა;</p> <p>➤ სახარჯო მასალების, მაგალითად, კარტრიჯის ნიმუშების წარმოდგენის მოთხოვნა;</p> <p>➤ კარტრიჯის ხარისხობრივი ტესტირების დამადასტურებელი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოთხოვნის თაობაზე პირობა.</p>
---	--	--

4.3. ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობებისა და სახარჯი მასალების მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმები

ვიზუალაზიზაციის მოწყობილობების (პრინტერებისა და პლოტერებისა და ტონერიანი და მელნის/საღებავის კარტრიჯების) შესყიდვისას, მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად, ზემოხსენებული ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჯარო შესყიდვის პროცედურის სხვადასხვა ეტაპებზე.

შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ამგვარი კრიტერიუმები განსაზღვროს:

- ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმებში²⁷;
- შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ სპეციფიკაციებში;²⁸
- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებში;²⁹
- საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების პირობებში.

საგულისხმოა, რომ ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული პირობები, შესაძლებელია, გათვალისწინებულ იქნეს როგორც ძირითადი ასევე დამატებითი კრიტერიუმების სახით. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ამგვარი პირობები განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ სპეციფიკაციებში, ხოლო ეკონომიკური ოპერატორი ასევე უფლებამოსილია, მინიმალური ენერგოეფექტურობის მოთხოვნასთან შესაბამისობის დასადასტურებლად, წარადგინოს ისეთი მოწყობილობა, რომელიც აკმაყოფილებს შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ სპეციფიკაციებში მითითებულ მინიმალურ მოთხოვნებს (მაგალითად ეკონომიკურ ოპერატორს შეუძლია წარადგინოს წინადადება (პროდუქტი), რომელიც აკმაყოფილებს ENERGY STAR-ის უახლეს³⁰ სპეციფიკაციებს. მოწყობილობა, რომელიც რეგისტრირებულია ENERGY STAR-ის მონაცემთა ბაზაში ან აქვს შესაბამისი ეკოლოგიური ეტიკეტის ტიპი I და აკმაყოფილებს მოთხოვნილ სპეციფიკაციებს ჩაითვლება შესაბამისად/მისაღებად. ასევე მისაღებია მწარმოებლის მიერ გაცემული ცნობა/განცხადება, რომელიც ადასტურებს შესყიდვის ობიექტის ზემოხსენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამდენად, მისაღებია ისეთი მოწყობილობა, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი – ევროკავშირის ან ეკვივალენტური ეტიკეტი, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური სპეციფიკაციებით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს.

²⁷ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 49-ე მუხლის შესაბამისად.

²⁸ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 48-ე მუხლის შესაბამისად.

²⁹ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 50-ე მუხლის შესაბამისად.

³⁰ ახალი ENERGY STAR-ის გამოქვეყნების მიმდინარე წელს, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ENERGY STAR-ის მქონე მოწყობილობების ხელმისაწვდომობა ბაზარზე, ტექნიკურ სპეციფიკაციებში მიზანშეწონილია მიეთითოს, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია უახლესად განიხილავს მიმდინარე წლისა და წინა გამოქვეყნებულ სტანდარტს. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, გვ. 16, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment_2020.pdf [06.05.2021წ].

4.4. პრინტერებისა და პლოტერების მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმები

პრინტერებისა და პლოტერების შესყიდვის პროცედურის თითოეულ ეტაპზე, ძირითადი ან დამატებითი მდგრადობის კრიტერიუმების გამოყენების რეკომენდაცია, მოცემულია წინამდებარე N4 ცხრილში.³¹

ცხრილი N4 - პრინტერებისა და პლოტერების შესყიდვის პროცედურის თითოეულ ეტაპზე, ძირითადი ან დამატებითი მდგრადობის კრიტერიუმების გამოყენების რეკომენდაცია

პრინტერები და პლოტერები	N	კრიტერიუმი	ძირითადი	დამატებითი
ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმები	1	მოწყობილობაში შეზღუდულ ნივთიერებათა კონტროლის შესახებ პირობა.		X
შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაციები	1	ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე პირობა.	X	X
	2	ავტომატური ორმხრივი ბეჭდვის შესახებ პირობა.	X	X
	3	რამდენიმე გამოსახულების ერთ გვერდზე ბეჭდვის/პრინტის ფუნქციის თაობაზე პირობა.	X	X
	4	მოწყობილობას შესაძლებლობა, რომ მისი ფუნქციონირებისას გამოყენებულ იქნეს გადამუშავებადი ქაღალდი.	X	X
	5	მოწყობილობას შესაძლებლობა, რომ მისი ფუნქციონირებისას გამოყენებულ იქნეს გადამუშავებული კარტრიჯი.	X	X
	6	მასალების შემცირებული ოდენობის შესახებ პირობა.		X
	7	მოხმარების შედეგად გადამუშავებადი პლასტმასის გამოყენების შესახებ		X

³¹ EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, გვ.9-10, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment. [06.05.2021].

		ინფორმაციის წარდგენის თაობაზე პირობა.		
	8	სათადარიგო ნაწილების ხელმისაწვდომობის პირობა	X	X
	9	მოწყობილობის დიზაინი, დაშლისა და შეკეთების შესაძლებლობის თვალსაზრისით.	X	X
	10	გადამუშავების შესაძლებლობისთვის საჭირო დიზაინი.	X	X
	11	მოწყობილობის შემადგენლობის ემისია.	X	X
	12	ხმაურის ემისია.	X	X
	13	საყურადღებო ნივთიერებების შემადგენლობა მოწყობილობაში.		X
	14	საშიშ ნივთიერებათა შემცველობა.		X
	15	მიკროპროგრამული უზრუნველყოფის, პროგრამულ-აპარატული საშუალებებისა თუ ჩაშენებული პროგრამების განახლების კონტროლის შესახებ პირობა.		X
	16	პირობა მოწყობილობის გარანტიისა და სერვისის მომსახურებების შესახებ.	X	X
საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები	1	ვიზუალიზაციის მოწყობილობის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების შესახებ პირობა. (წინამდებარე ცხრილის N1 ტექნიკური სპეციფიკაციებით განსაზღვრული პირობის მიღმა).	X	X
	2	უფრო ხანგრძლივი გარანტიები.	X	X
	3	ყველაზე ხანგრძლივი გარანტია.	X	X
	4	პირობა იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ოპერატორის მიერ განხორციელდეს უსასყიდლო ტრანსპორტირება, (მის ან მისი	X	

		ქვეკონტრაქტორის მიერ) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ვიზუალიზაციის მოწყობილობებისა, იმისათვის, რომ ამგვარი მოწყობილობები ან მისი ნაწილები იქნეს გადამუშავებული, მათ შორის, ხელახლა გამოყენების მიზნით (თუკი ეს შესაძლებელია).		
	5	სასიცოცხლო ციკლის დანახარჯის ფარგლებში, თითოეული მოწყობილობის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად, მის საბოლოო განადგურებასთან ან/და გადამუშავებასთან დაკავშირებული მენეჯმენტის სისტემის არსებობის შესახებ პირობა.		X
საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების პირობები	1	პირობა ვიზუალიზაციის მოწყობილობის ხელახლა გამოყენების ან/და გადამუშავების აქტივობების შესახებ მოხსენების თაობაზე.	X	X

4.5. ტონერიანი და მელნის/საღებავის კარტრიჯების მდგრადობის კრიტერიუმები

ტონერიანი და მელნის/საღებავის კარტრიჯების შესყიდვის პროცედურის თითოეულ ეტაპზე, ძირითადი ან დამატებითი კრიტერიუმების გამოყენების რეკომენდაცია, მოცემულია წინამდებარე N5 ცხრილში.³²

ცხრილი N5 - ტონერიანი და მელნის/საღებავის კარტრიჯების შესყიდვის პროცედურის თითოეულ ეტაპზე, ძირითადი ან დამატებითი კრიტერიუმების გამოყენების რეკომენდაცია

ტონერიანი და მელნის/საღებავის კარტრიჯები	N	კრიტერიუმი	ძირითადი	დამატებითი
შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაციები	1	პირობა კარტრიჯის ან/და კონტეინერის 1 გვერდზე ბეჭდვის რესურსის/უნარის/მოცულობის შესახებ.	X	X
	2	სახარჯი მასალების რესურსების ეფექტიანობის შესახებ პირობა.		X
	3	სახარჯ მასალებში საშიში ნივთიერებების შემცველობის შესახებ პირობა.		X
	4	პირობა ხელახლა გამოყენების ან/და გადამუშავებისთვის ან ხელახლა დიზაინის წარმოების შესახებ.	X	X
	5	პირობა სახარჯი მასალების ხარისხის შესახებ.	X	X
	6	პირობა იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ოპერატორის მიერ განხორციელდეს უსასყიდლო ტრანსპორტირება, (მის ან მისი ქვეკონტრაქტორის მიერ) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ	X	X

³² EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, გვ.11, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment_.pdf [06.05.2021].

		გამოყენებული კარტრიჯებისა და კონტეინერებისა, იმისათვის, რომ ამგვარი მოწყობილობები ან მისი ნაწილები იქნეს გადამუშავებული, მათ შორის, ხელახლა გამოყენებისათვის.		
საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები	1	ფოტოასლების გადასაღები აპარატურის რესურსების ეფექტიანობის შესახებ პირობა.	X	X
	2	ხელახლა გამოყენების ან/და ხელახლა წარმოების ხელშეწყობის შესახებ პირობა.	X	X
	3	სასიცოცხლო ციკლის დანახარჯის ფარგლებში, თითოეული კარტრიჯის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად, მის საბოლოო განადგურებასთან ან/და გადამუშავებასთან დაკავშირებული მენეჯმენტის საკითხების შესახებ პირობა.	X	X
საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების პირობები	1	მიწოდებული სახარჯო მასალების გადამუშავების ან/და ხელახლა გამოყენების შესახებ მოხსენების პირობა.	X	X

5. დასკვნა

როგორც მოცემული სახელმძღვანელოს დასაწყისში აღინიშნა, მდგრადი განვითარების მიზნის დასახვა და ამ მიზნის მიღწევის აუცილებელი გზების მოძებნა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. ამ მიმართულებით კანონმდებლობის დახვეწა, მათ შორის, შესაბამისი სამოქმედო გეგმებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება დასახული მიზნის მიღწევის ამპლიტუდის საუკეთესო საზომია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა და ეკონომიკურმა ოპერატორებმა თავად არ დაიშურონ ძალისხმევა დასახული მიზნების მიღწევის პროცესში.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები კანონპროექტის პირდაპირ ობიექტებს წარმოადგენენ, სწორედ მათ მიმართ არსებობს ძირითადი მოლოდინები, რომ უზრუნველყოფენ კანონპროექტით რეგლამენტირებული პრინციპებისა და მოთხოვნების განუხრელად დაცვას.

აღნიშნულ სახელმძღვანელო მითითებებსა და რეკომენდაციებში, მოცემული ეტაპების, საშუალებებისა და მექანიზმების ზოგადი შეფასება ცხადყოფს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების წინაშე დასმულია ერთი მხრივ, მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევის, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკური ოპერატორების მიმართ არადისკრიმინაციული და პროპორციული მიდგომის ამოცანები.

ამდენად, შემსყიდველ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ, რომ არა თუ კონკრეტული შესყიდვის გამოცხადებამდე, არამედ მომავალში, შემდგომი წლებისათვის, საჯარო შესყიდვის გეგმის შედგენის ეტაპზევე გაითვალისწინონ მდგრადი შესყიდვების განხორციელებისთვის შესაბამისი ფინანსური თუ სხვა რესურსების არსებობის აუცილებლობა. მდგრადი შესყიდვების პრინციპების გათვალისწინება შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავებისას ემსახურება კანონპროექტითა და სახელმძღვანელოთი განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, შესყიდვის გამოცხადების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებიდან, საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების მანძილზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან არამხოლოდ კონკრეტული მდგრადი შესყიდვის სწორად წარმართვისთვის, არამედ ისინი ასევე ვალდებული არიან, დადგენილების პროექტის შესაბამისად, მდგრადი შესყიდვების განხორციელების შესახებ ინფორმაცია წარუდგინონ სააგენტოს ყოველწლიურად, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ნოემბრისა. აღნიშნული ანგარიშების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო უზრუნველყოფს მდგრადი შესყიდვებისთვის დადგენილი მოთხოვნების განახლებას და თანამედროვე გამოწვევებისთვის მისადაგებას, შემსყიდველი ორგანიზაციების საჭიროებების გათვალისწინებით.

ამდენად, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა დეტალურად და ნათლად უნდა ჩამოაყალიბონ მდგრადი შესყიდვების განხორციელების დროს მიღწეული შედეგები და წარმოშობილი პრობლემები, იმისათვის, რათა შემდგომში კიდევ უფრო მეტად დაიხვეწოს მდგრადი შესყიდვებისა და მდგრადი განვითარების მისაღწევად გასატარებელი აუცილებელი გზები.

დასუფთავების პროდუქტების, ფოტოასლების გადასადები მოწყობილობებისა და სახარჯი მასალების მდგრადი შესყიდვის პრაქტიკაში განხორციელება გამოავლენს შემსყიდველი ორგანიზაციების პრაქტიკულ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. ამასთან, საჯარო უწყებების გაზრდილი მოთხოვნა მდგრად და მწვანე პრინტერებსა და პლოტერებზე, სახარჯ მასალებზე და დასუფთავების პროდუქტებზე გაზრდის ამგვარი პროდუქტების წარმოებას, რაც თავისი მხრივ, შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც მწვანე ეკონომიკისკენ სწრაფვის მიმართულებით ქვეყნის ერთ-ერთი ნაბიჯი.

6. ბიბლიოგრაფია

- ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპისატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება;
- „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „საჯარო შესყიდვის განხორციელებისას მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- EU GPP criteria for indoor cleaning services, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/toolkit/cleaning_product/en.pdf;
- EU green public procurement criteria for imaging equipment, consumables and print services, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/20032020_EU_GPP_criteria_for_imaging_equipment_2020.pdf;
- Buying green!, A handbook on green public procurement 3rd Edition, European Union, 2016, ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/Buying-Green-Handbook-3rd-Edition.pdf>.

7. სასარგებლო წყაროები

- Medyna, G., De Almeida Ferreira Neto, B., Kowalska, M., De Oliveira Gama Caldas, M. and Wolf, O., Revision of EU Green Public Procurement Criteria for Indoor Cleaning Services: Technical Report, EUR 29417 EN, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2018, ISBN 978-92-79-96859-4, doi:10.2760/718593, JRC113795;
- Kaps Renata, Vidal-Abarca-Garrido Candela, Gama-Caldas Miguel, Maya- Drysdale Larisa, Viegand Jan and Wood Jonathan, Revision of the EU Green Public Procurement (GPP) Criteria for imaging equipment. Final Technical Report: Final criteria, EUR 30481 EN, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2020, ISBN 978-92-76-26941-0, doi:10.2760/02995, JRC121607.